]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2224
09/10/2020

2224-01-4-202010091759

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

,,პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების მიხედვით, **საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა** წარმოადგენს ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში საშუალოვადიან პერიოდში (4-წლიანი პერიოდი) განსახორციელებელი პროგრამებით/ქვეპროგრამებით დასახული შედეგების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ დოკუმენტს, რომელიც მოიცავს აღნიშნული ღონისძიებების აღწერას, დასაბუთებას, ინფორმაციას განმახორციელებლის და განხორციელების ვადების შესახებ, ასევე, არსებული ან/და საჭირო დაფინანსების მოცულობას, მოსალოდნელ შედეგებს და შესრულების შეფასების ინდიკატორებს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 28 თებერვლის N357 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმა.
2. კონტროლს ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე ვივალებ პირადად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქ. N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში
4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი